პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
16 დეკემბერი
№ 288 (17930)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „ქვეყანაში ტურისტულ-საექსკურსიო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მეცხრე და მეათე ხუთწლიანების წლების განმავლობაში მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ტურისტულ-საექსკურსიო საქმე გადაიქცა მოსახლეობის მომსახურების დიდმნიშვნელოვან დარგად, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაში; გახდა დიდი ოქტომბრის მონაპოვართა, კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა პროპაგანდის ქმედითი ფორმა, მშრომელთა აღზრდის, მათი ჯანმრთელობის გაკაჟების შესანიშნავი საშუალება.

ამავე დროს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ აღნიშნეს, რომ ტურიზმისა და ექსკურსიების განვითარება ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. ნელა იქმნება ტურიზმის მატერიალური ბაზა ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით ცმბირისა და შორეულ აღმოსავლეთში. ზოგიერთ ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებაში ნაკლოვანებანია ტურისტთა კვების ორგანიზაციაში, მათი ტრანსპორტით, ტურისტული ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფაში, რაც სამართლიან სხეულურს იწვევს.

მთლად ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებათა კადრების შერჩევის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს ტურისტულ ორგანიზაციათა და დაინტერესებულ უწყება-სამინისტროთა საქმიანობის საკოორდინაციო მუშაობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებსა და საბჭოებს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან, ცენტროსოიუზთან, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ მეხუთრომეტეხუთწლედში ტურისტული დანიშნულების საქონლისა და სუვენირების წარმოების მოცულობათა მნიშვნელოვანი გადიდების, მათი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე ამ საქონლის გარეგნული სახის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცეს: 1981-1985 წლებში მოაწყოს სხვადასხვა მიდგომა ფერის ტურისტული კარვების, ზურგჩანთებისა და საძილე ტომრების დამზადებისათვის საჭირო წყალმედეგი ქსოვილების წარმოება იმ მოცულობით, რომ დაკმაყოფილდეს ტურისტული ორგანიზაციების მოთხოვნილებანი; სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს 1983 წლიდან ბაიდარების და გასახური ლეიბების დამზადებისათვის, საჭირო სპეციალური გარეშენებული ქსოვილების წარმოება.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინაშე დასახულია ამოცანა გააუმჯობესონ სუვენირებისა და სასაჩუქრე ნაწარმის ვაჭრობა, გაიფართოვონ ტურისტული დანიშნულების საქონლის სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, ცენტროსოიუზი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო მოვალენი არიან გაუმჯობესონ ტურისტების მომსახურება საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, უზრუნველყონ ტურისტული ჯგუფების მომსახურების პროგრესული მეთოდებისა და ფორმების ფართოდ დანერგვა.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცეს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებებისათვის გაადიდოს ერთჯერადი სარგებლობის წვრილად დაფასოებული კვების პროდუქტების წარმოება.

სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა: უზრუნველყოს ტურისტულ-საექსკურსიო თემატიკაზე სამეცნიერო-პოპულარული, მეთოდიკური, საცნობარო ლიტერატურის, პლაკატების, ღია ბარათების, ტურისტული მარშრუტების, ისტორიული და სამახსოვრო ადგილების, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილების მეგზურების გამოშვება, 1981 წლის ერთ-ერთ ცენტრალურ გამომცემლობაში შექმნას ზოგად-მეთოდიკური ხასიათის ტურისტული და საექსკურსიო ლიტერატურის გამოშვების სპეციალიზებული რედაქცია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოს წინადადება მიეცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოსთან, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით გააფართოოს ხსვადასხვა სახეობის ტურიზმის უზრუნველყოფისათვის ტურისტული რუკებისა და ხელმძღვანელების ასორტიმენტი და აამაღლოს მათი ინფორმაციული ტევადობა.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ეზრუნონ ტურისტული კულტურის სამინისტროს წინადადება მიეცეთ გააუმჯობესონ ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებათა კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა. მიღებულია საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს წინადადება, რომ 1981 წელს ცენტრალური ტურისტული კურსები გადაკეთდეს ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობის ადამიანთა ასამაღლებელ ინსტიტუტად.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცეთ გაფართოონ ტურისტულ-საექსკურსიო თემატიკაზე დოკუმენტური, მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გამოშვება, გაუმჯობესონ ტელევიზიითა და რადიოთი ტურიზმისა და ექსკურსიების პროპაგანდა.

ეურნალ-გაზეთების რედაქციების წინაშე დასახულია ამოცანა გაუმჯობესონ ქვეყანაში ტურიზმისა და საექსკურსიო საქმის განვითარების პრობლემების გაშუქება, ფართოდ უჩვენონ მშრომელთა და ახალგაზრდობის შინაარსიანი დასვენების მოწყობისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის ლაშქრობების, მოგზაურობებისა და ექსკურსიების შესაძლებლობანი, უფრო ღრმად გამოავლენონ ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობის საუკეთესო გამოცდილება.

რუსეთის ფედერაციის ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ცნეს შეიქმნას ტურიზმისა და ექსკურსიების რუსეთის რესპუბლიკური საბჭო.

ტურისტული ორგანიზაციების, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის საჭირო კოორდინაციის უზრუნველყოფის, შიდა ტურიზმის დარგში მეთოდიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია საკავშირო პროფსაბჭოსთან შეიქმნას ტურიზმის საუწყებათშორისო საბჭო.

ჰელაღის ძეგლის გახსნა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში შეიკრიბნენ მოწინავე ადამიანები, ომისა და შრომის ვეტერანები, დედაქალაქიდან და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ასლანიკაშვილმა.

ეღირს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. სიტყვა-ლი ეხსნება დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბრინჯაოს ძეგლს. ძეგლის ავტორია რაიონის მკვიდრი, მოქანდაკე ჯ. რუხაძე, ხოლო კვარცხლბეკისა — რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ვ. ცუხიშვილი.

სიტყვები წარმოთქვეს პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებმა, ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ; პოეტმა დ. ივარდავამ წაიკითხა ამ საზეიმო დღისადმი მიძღვნილი ლექსი.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

14 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსულ ბრაზილის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს პალატის თავმჯდომარე ფლავიო პორტელა მარსილიო. დელეგაციის შემადგენლობაში დეპუტატთა პალატის გენერალური მდივანი პაულო აფონსო მარტინს დე ოლივეირა.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით. მან ხაზი გაუსვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბრაზილიელ პარლამენტართა ჩამოსვლა დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხების ურთიერთ-გაგების გაუმჯობესებაში.

„ეჭვი არ არის, — თქვა შემდეგ ე. ა. შევარდნაძემ, — რომ ბრაზილიელმა მეგობრებმა მოსკოვშიც, ლენინგრადშიც და მოლდავეთშიც იგრძნეს საბჭოთა ადამიანების გულითადობა. მაგრამ საქართველოში თქვენ განსაკუთრებული ინტერესითა და განსაკუთრებული სიმპათიით გელოდნენ, რადგან მომიწია მეხელმძღვანელა საბჭოთა დელეგაციისათვის, რომელმაც მიმდინარე წლის აპრილში იმოგზაურა ბრაზილიაში. ჩვენ მშფოთვარე დროს ვიყავით თქვენთან, მაგრამ ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობამ და პირადად თქვენ, — ბატონო თავმჯდომარეო, ბევრი რამ გააკეთეთ იმისათვის, რომ ვიზიტს სასიკეთო ვითარებაში ჩაევლო“.

საუბრის დროს გამოითქვა მისწრაფება განამტკიცონ კარგი ურთიერთობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საბჭოთა და ბრაზილიელი ხალხების ინტერესებისათვის. ამას ხელი უნდა შეუწყოს სსრ კავშირისა და ბრაზილიის საპარლამენტთაშორისო კონტაქტებმაც. ჩვენ ქვეყნებს შორის დამყარებული ურთიერთობა კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების ქვეყნებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ბრაზილიის საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ერთაშორისო ურთიერთობის განვითარების გზაზე, მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველზე. ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟოაო ფიგეირედოს მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, უეჭველია, ახალ ნათელ ფურცელს ჩაწერს ჩვენი ურთიერთობის მშვიდობიან მატიანეში.

ბრაზილიელმა სტუმრებმა დიდი უყურადღებით მოისმინეს საბჭოთა ... ისტორიული წარსულის, საბჭოთა საქართველოს განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მომხდარი განსაცვიფრებელი ცვლილებების, იმ შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის შესახებ, რომლითაც რესპუბლიკის მშრომელები ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

ბრაზილიის პარლამენტართა დელეგაციის მეთაურმა ფლავიო კორტელა მარსილიომ დიდი მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის და გამოთქვა მისწრაფება ბრაზილიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგებისადმი.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის კომისიის წევრი ვ. კ. აკულინცევი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ს. ალხიმოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. შ. ქაჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე ვ. ტალფენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე. (საქინფორმი).

ბრაზილიელი პარლამენტარები საქართველოში

14 დეკემბერს ნაშუადღევს, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პალატის თავმჯდომარე ფლავიო პორტელა მარსილიო, ვიზიტად იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. გ. გილაშვილი. პარლამენტარებს მან გააცნო ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება, საბჭოთა საარჩევნო სისტემა, სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები. ამხანაგმა ა. გ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირი საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიას შორის უნდა განვითარდეს კვლავაც, როგორც ხალხების დაახლოებისა და უკეთესი ურთიერთგაგების ნაცადი საშუალება.

შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ნ. ბ. ბერიძე, ხოლო კვარცხლბეკისა — რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ვ. ცუხიშვილი.

სიტყვები წარმოთქვეს პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებმა, ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ; პოეტმა დ. ივარდავამ წაიკითხა ამ საზეიმო დღისადმი მიძღვნილი ლექსი.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი.

ბრაზილიელი ეკონომისტი, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატი ანტონიო ფეიტოზა ... ბრაზილიელი ჟურნალისტის ლუსტოზა და კოსტას ხელში.

სტუმართა ოტაციებულმა შთაბეჭდილებებმა ამოგვაყო მიაღწია, როცა მათ დაათვალიერეს რესტავრირებული სახლები ბარათაშვილის ქუჩაზე, გაეცნენ მათ ინტერიერებს, სამხატვრო აკადემიის სალონში აღფრთოვანდნენ თანამედროვე ქართველი მხატვრების ნატიფი გემოვნებით. გულით გაიხარეს ძველებური ხელოვნების ნამუშევრების საგანძურის — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერებისას, ნახეს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის უნიკალური გაფორმება.

თბილისის გაცნობისას დელეგაციას ახლდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე და სხვა ოფიციალური პირები.

15 დეკემბერს ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დელეგაცია მეხედა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს; დათვალიერა მარტენისა და მილსაგალნავი საამქროები, სადაც პროდუქციის მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში უშვებენ, ინტერესით მოისმინა ქარხნის დირექტორის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ო. ნ. სულაძის საუბარი ქარხნული მეტალურგიის ფლაგმანის შესახებ.

ბავშვები, გულკეთილი დამოკიდებულება მათდამი, ზრუნვა მათი ბედნიერი მომავლისათვის — აი, არსებითად, მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის საბოლოო მიზანი. ეს იდეა უხილავად იგრძნობოდა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტზე, რომელიც ბრაზილიელი სტუმრების პატივსაცემად გამართეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელებმა.

✦ ✦ ✦

იმავე დღეს ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის კომისიის წევრი ვ. კ. აკულინცევი, რომელიც სტუმრებს ახლავს ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

აეროპორტში ბრაზილიელი პარლამენტარები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. აბაშიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა თ. ვ. გამყრელიძემ, ო. შ. ქაჯაიამ, გ. ზ. მირიანაშვილმა, ვ. ი. პატეიშვილმა, ნ. ა. ფოფხაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველმა მ. ა. ჭიჭინაძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. ნ. გორდელაძემ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ნ. ბ. რუხაძემ.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის თვითმფრინავის კიბესთან მიცემულ ინტერვიუში ბრაზილიის პარლამენტართა დელეგაციის ხელმძღვანელმა ფლავიო პორტელა მარსილიომ თქვა:

— ჩვენ კეთილი გრძნობით ვტოვებთ საქართველოს თვალწარმტაც მიწა-წყალს, რომელსაც დიდი წარსული და შესანიშნავი აწმყო აქვს. აქ არა მარტო განვამტკიცეთ ბრაზილიაში საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციის ეიზიტის დროს დაწყებული მეგობრობა, არამედ ახალი მეგობრებიც შევიძინეთ. ჩვენი ხალხები მშვიდობასა და მეგობრობას ესწრაფვიან, ამიტომ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ პოზიტიურ ცვლილებებს ბრაზილია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით ძნელია გაზვიადებით შეავფასოთ კონტაქტების, დელეგაციათა გაცვლის მნიშვნელობა, ცხადია, რაც უფრო გავიცნობთ და გავუგებთ ერთმანეთს, მით უფრო მყარი საფუძველი ექნება ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში.

ბრაზილიის დელეგაციის სახელით ფლავიო პორტელა მარსილიომ უსურვა ქართველ ხალხს შემდგომი წარმატებანი პროგრესის გზაზე. (საქინფორმი).

მწყობრშია პნევმოდანადგარი „ლილო-2“

„ლილო-2“: ხაიმედოობა, სიჩქარე, ეკონომიურობა

1980 წლის 14 დეკემბერს შუადღისას და მარნეულში მრავალი ხალხი შეიკრიბა, ყველგან გამოცოცხლება იყო. აქ გამოცდა უნდა ჩაებარებინათ არაჩვეულებრივ ლოკომოტივებს — პნევმოზიდავ-მძიმე ტვირთმზიდავებს. „ლილო-2“ პნევმოდანადგარის გამოცდასა და აბუშავებაზე მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი, მარნეულის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რუსეთის სფსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის „ტრანსპროგრესის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს, მოსკოვისა და თბილისის საპროექტო ორგანიზაციების, მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების წარმომადგენლები.

... ჩვენ შულავერის ინერტული მასალების კარიერებზე ვართ. გაისმის გამაფრთხილებელი სიგნალი. წამი, მეორე, და სიჩუმეს არღვევს ჰაერსაბერის გუგუნი. რვა ვაგონ-კონტეინერისაგან შემდგარი ექსპრესი მიუახლოვდა მილსადენის პირს. რამდენიმე წამში ვაგონები ივსება ფხვიერი მასალებით, რომლებიც მადონიერებელი ავტომატების საშუალებით იყრება ბუნკერებიდან. კიდევ ერთი სიგნალი და მატარებელი გზას შეუდგა, მიიმალა ღრმად მიწისქვეშ, რათა ამოვიდეს მარნეულში — რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხანაში.

ერთი რეისით პნევმომატარებელს გადააქვს 40 ტონა ღორღი, საათში ავითარებს 40 კილომეტრზე მეტ სიჩქარეს. იგი აამოძრავა 0,06 ატმოსფეროზე ოდნავ მეტი წნევით გაშვებულმა ჰაერმა.

მწყობრშია „ლილო-2“ — როგორც მოსკოველმა და ქართველმა სპეციალისტებმა უწოდეს ავტომატური რეჟიმის მქონე პნევმატური ტრანსპორტის დანადგარის პირველი რიგის ამ ახალ სახეობას.

„ტრანსპროგრესის“ უფროსმა ა. ვ. ალექსანდროვმა თქვა:

— დამპროექტებელთა, კონსტრუქტორთა, მუშათა დიდი არმიის მრავალი წლის შრომა შესანიშნავი წარმატებით დაგვირგვინდა. პატარა „ლილო-1“ ერთმილიანი დანადგარიდან მივედით ახალ, სრულყოფილ „ლილო-2“ დანადგარამდე.

„ლილო-2“ დანადგარის პირველი რიგი შესაძლებლობას მოგვცემს ყოველწლიურად გადავიტანოთ 225 ათასი ტონა ტვირთი შულავერის კარიერებიდან 17,5 კილომეტრ მანძილზე. რიცა ამოქმედდება მისი მეორე რიგი შულავერ-მარნეულ-„ლილო-2“ 40 კილომეტრ მანძილზე, ტვირთბიდვის წლიური მოცულობა ორ მილიონ ტონას მიაღწევს.

პნევმოტრანსპორტი, რომელიც შეიცვლის საავტომობილო ტრანსპორტს ფხვიერი მასალების გადაზიდვის დროს, გამოირჩევა იმით, რომ არ არის მავნე გარემოსათვის და უხმაუროდაა. ორივე რიგის ამოქმედების შემდეგ XXVI ყრილობისათვის, მკაფიოდ მოწმობს, თუ როგორ ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ამოცანად გვისახავს დავაჩქაროთ უწყვეტი და ახალ სპეციალიზებულ სახეობათა ტრანსპორტის — საკონტეინერო, პნევმოსაკონტეინერო, ჰიდრავლიკური და სხვა ტრანსპორტის დანერგვა.

გამოითქვა რწმენა, რომ „ტრანსპროგრესის“ სპეციალისტთა მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მეცნიერებთან და სპეციალისტებთან კვლავაც გაგრძელდება, რომ „ლილო-2“-ის მეორე რიგი მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ, რომ თბილისშიც, მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ბაქოს მაგალითისამებრ, „ტრანსპროგრესი“ შეასრულებს დიდ სამუშაოებს იმ მიზნით, რომ პნევმოტრანსპორტი გამოყენებული იყოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრისათვის მათ ვაკუუმურ შეგროვებასთან შეხამებით. ეს გაათავისუფლებს დიდძალ ტრანსპორტს, გაუმჯობესებს ქალაქის სანიტარიულ მდგომარეობას.

გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ კონტეინერული მილსადენები გამოყენებული იყოს კარიერებიდან მამდიდრებელ ფაბრიკებში მადნის მისატანად, ხოლო იქიდან — დამუშავების ადგილებში მადნის კონცენტრატის გადასაზიდად. ასეთი „გზების“ დანერგვა შესაძლებლობას მოგვცემს ზოგიერთ შემთხვევაში ხელი ავიღოთ რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობაზე. (საქინფორმი).

დელეგაცია გაემგზავრა

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 15 დეკემბერს მოსკოვიდან ჰავანაში კუბის კომპარტიის მეორე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. კ. კირიჩენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ვ. ი. ვოროტნიკოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• •

14 დეკემბერს საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის მიწვევით საფრანგეთში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი შეხვდნენ დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში არიან დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ჰ. შმიტი, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე დ. არენსი და დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის ბიუროს წევრი გ. ფლიტბაილი. (საკ. ინ.).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

12 დეკემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი შეხვდნენ დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში არიან დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ჰ. შმიტი, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე დ. არენსი და დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის ბიუროს წევრი გ. ფლიტბაილი. (საკ. ინ.).

რკინიგზის ხიდი ალგეთზე

ახალი დიდი წარმატებაა მიღწეული მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე. აქ საეკსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის ხიდი მდინარე ალგეთზე. ხიდის სიგრძე 120 მეტრია.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ტრესტ „მთავარხიდმშენის“ № 39 ხიდსაშენებელი რაზმის უფროსმა ბ. ჩიგვარიამ უთხრა, ხიდი ვადამდე აშენდა და მაღალი ხარისხით გამოირჩევა. რეკორდულად მოკლე ვადაში — ერთ თვეში გაყვანილია აგრეთვე გზაგამტარი თბილისი-მარნეულის ავტოტრასაზე.

უბნის კოლექტივმა შ. მესხელის მეთაურობით, ხ. ჯეირანაშვილის მემონტაჟეთა ბრიგადამ, გ. კვანტარაშვილისა და თ. ციპაროიძის გაზელექტროშემდუღებელთა ბრიგადებმა, ოსტატმა ვ. ბარბაქაძემ თავი გამოიჩინეს ხიდისა და გზაგამტარის მშენებლობაზე.

ახალი ხუთწლედის ანგარიშში

უკვე მრავალი წელია ზედიზედ რუსთაველი მეტალურგები საამშობლოს ახარებენ სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებით. არც წელს შეურცხვენით თავი ინიციატორებს შეჯიბრებისა: „არც ერთი ჩამორჩენილი და დისკვალიფიციდ დამოდგომა ჩვენ გვეწყინდა“ — რუსთაველი მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმა. ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით მან. გამოუშვა 10 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მარტენის საამქროში ამ დღეებში ნადნობის 70 პროცენტზე მეტი ჩქაროსნულია.

ამჟამად რუსთაველი მეტალურგები განაგრძობენ მუშაობას დევიზით: „სკკპ XXVI ყრილობას — 2რ დამკვრელური ვახტი!“ ყოველი ვახტი აღნიშნულია ლითონის ახალი ზეგეგმითი ტონებით. (საქინფორმი).

კვლავ ჯარის შესახებ

მიმდინარე წელს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი, რომლებშიც ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, პარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს გაეხორციელებინათ ღონისძიებები იმისათვის, რომ აუცილებლად შესრულდეს მეორეული შავი ლითონის დამზადების გეგმები. ჩვენს გამოსვლებს უმთავრესად გამოეხმაურნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც წინათაც ართმევდნენ თავს ჯართის შეგროვების დავალებას და უფრო გაალიერეს მუშაობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვინც ჩამორჩებოდა, კვლავ ჩამორჩენილთა რიგებშია.

პარტიის ამბროლაურის რაიკომმა, მაგალითად, შეგვატყობინა, რომ მიღებულია ზომები მომავალში ლითონის დამზადების დავალებების შეუფერხებელი შესრულებისათვის, მეორედ, რა? წერილი წერილად დარჩა, ხოლო გეგმა გეგმად. მიმდინარე წლის 10 თვეში ამბროლაურმა ათობით ტონა ჯართი დააკლო სახელმწიფოს, ცუდად იმუშავეს აგრეთვე ქალაქმა ზუგდიდმა, ბორჯომის, საგარეჯოს, ცაგერის რაიონებმა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩამოთვლილი ქალაქები და რაიონები არაფერს აკეთებდნენ ამ საკითხის მოსაგვარებლად. საკვირველია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკის დამოკიდებულება ჯართის შეგროვების საქმისადმი. ნეტავ, ვინ უნდა დაფაროს იმ 471 ტონა ლითონის დანაკლისი, რომელიც აქედან ვერ მიიღო ქვეყანამ? სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ ამ მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო. პრეზედიუმ მათგანმა ვერ უზრუნველყო 503 ტონა, ხოლო მეორემ — 886 ტონა ლითონის ჩაბარება. დამაკმაყოფილებელი არ არის საშენ მასალათა, კვების მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების მუშაობა. არ სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ლითონის დამზადების მთლიანი რეალიზაციის საქმეში გაერთიანება „საქქვანახშირმა“, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, თავისი პოზიციები დათმეს სხვა ორგანიზაციებმაც.

სახელმწიფოსათვის ლითონის დროულ ჩაბარებას მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პარტიის ზესტაფონის, გორის, აბაშის, ადიგენის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხაშურის რაიონული კომიტეტები და რაიაღმასკომები. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს როგორც ოქტომბრის, ისე ათი თვის გეგმები. სიჩხერის, წულუკიძისა და დუშეთის რაიონებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ლითონის დამზადების ათი თვის დავალებებს, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს ოქტომბრის თვის გეგმების შესრულება.

არადა, ამ უკანასკნელს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკურმა პროფსაბჭომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე მეორეული შავი და ფერადი ლითონების ჩაბარების ერთთვიური მოაწყვეს. თითქოსდა ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ღონისძიებას ყველანი მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდებოდნენ, მაგრამ ასე როდი მოხდა. ოქტომბერში თბილისის კიროვის რაიონის, გურჯაანის, თერჯოლის, ხობის, ქარელისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ხელმძღვანელობას მეტი გულისხმიერება რომ გამოეჩინა ამ საქმისადმი, ჯართის დამზადების დავალება გადაჭარბებით შესრულდებოდა.

სხვათა შორის, ეს წერილი შეიძლება არც კი დაწერილიყო, ნოემბერში რომ მდგომარეობა შეცვლილიყო. როგორც მეორეული ლითონების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანებიდან შეგვატყობინეს, ლითონის დამზადების გეგმის შესრულება არასოდეს ისე არ ჩავარდნილა, როგორც ნოემბერში. რა მოხდა, რატომ მოვადუნეთ ამ საკითხის მიმართ ყურადღება?

იცოდეს ყველა საწარმოსა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომ ლითონს ომისდროინდელივ ელიან რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის მანქანათმშენებელი, თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსასხმელო ქარხნები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი საწარმო!

პარტიის ყველა რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტმა, საბჭოთა ორგანოებმა საგანგებო ღონისძიებები უნდა განახორციელონ ლითონის დამზადების დაკემბრის, მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალების უთუო რეალიზაციისათვის. ამ საქმისადმი გულგრილობა არავის არ ეპატიება.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

პარტიული კომიტეტების პლენუმები

საქართველოს კომპარტიის **სამხრეთ ოსეთის** საოლქო პარტიული კომიტეტის მუშაობაში ამბოხებულ ნაკლოვანებათა ... და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **შ. ა. პატარიძემ.**

ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ფ. ს. სანაკოევი,** მეორე მდივნად **ნ. ა. ოდიშვილი,** მდივნად — **ა. გ. პარასტაევი.**

საქართველოს კომპარტიის **ყვარლის** რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გ. გილაშვილმა.**

ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის ყვარლის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **რ. გ. ურჯუმელაშვილი,** მეორე მდივნად — **მ. თ. კოკორაშვილი,** მდივნად — **ვ. ვ. ზურაშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **ახალქალაქის** რაიონული პარტიული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ე. ჩერქეზიამ.**

ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ფ. ს. სანაკოევი,** მეორე მდივნად **ნ. ა. ოდიშვილი,** მდივნად — **ა. გ. პარასტაევი.**

საქართველოს კომპარტიის **ჭიათურის** საქალაქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ე. ჩერქეზიამ.**

ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ფ. ს. სანაკოევი,** მეორე მდივნად **ნ. ა. ოდიშვილი,** მდივნად — **ა. გ. პარასტაევი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **ზესტაფონის** რაიონული პარტიული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გ. გილაშვილმა.**

ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **რ. გ. ურჯუმელაშვილი,** მეორე მდივნად — **მ. თ. კოკორაშვილი,** მდივნად — **ვ. ვ. ზურაშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **ბორჯომის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **ი. ვ. გურგენიძე,** მეორე მდივნად — **ჯ. გ. კოჩაძე,** მდივნად — **მ. გ. სტაყაძე.**

საქართველოს კომპარტიის **გორის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ვ. პ. აბრამიშვილი,** მეორე მდივნად — **ნ. მ. ჯოჯიშვილი,** მდივნად — **რ. ვ. მაზმიშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **წალენჯიხის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **რ. დ. ჯახია,** მეორე მდივნად — **შ. ა. ლატარია,** მდივნად — **ვ. დ. აკობია.**

საქართველოს კომპარტიის **ახალციხის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. ი. პატაშვილი,** მეორე მდივნად — **ჯ. პ. მარუაშვილი,** მდივნად — **მ. პ. ცინცაძე.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **ჩოხატაურის** ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ზ. შ. ერქომაიშვილი,** მეორე მდივნად — **ა. დ. კუტუბიძე,** მდივნად — **კ. ი. მდინარაძე.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **ბორჯომის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს **ი. ვ. გურგენიძე,** მეორე მდივნად — **ჯ. გ. კოჩაძე,** მდივნად — **მ. გ. სტაყაძე.**

საქართველოს კომპარტიის **მაიაკოვსკის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. პ. ნოზაძე,** მეორე მდივნად — **რ. ს. კბილაშვილი,** მდივნად — **კ. ა. დოლრაშვილი.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **სამტრედიის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **თ. შ. იმედაძე,** მეორე მდივნად — **ნ. ა. ბელეიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის **მარნეულის** ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. ი. ხუციშვილი,** მეორე მდივნად — **ბ. ჰ. კალაევი,** მდივნად — **ი. ს. თოფურიძე.**

საკლესიესა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვეტყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება ლენტების ჯუნგლებზე

მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტი

დელი, 15 დეკემბერი. ინდოეთის გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ინდოეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებსა და ინდოეთის ხელმძღვანელებთან მის მოლაპარაკებას.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაციის „ნეშნლ ჰერალდი“ უწოდებს მნიშვნელოვან ისტორიულ ნიშანსვეტს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

პარლამენტში გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევმა — გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ — ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ბრძნული საბჭოთა საგარეო პოლიტიკა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის მიერ გამოთქმულმა ზრუნვამ მშვიდობისათვის წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ინდოეთის პარლამენტის ყველა დეპუტატზე, აღნიშნავს ინდოეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „ნიუ-ეიჯი“.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაცია და მოლაპარაკების შედეგები მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლაში და სერიოზული ლახვარი ჩასცა ვაშინგტონისა და მისი დამქაშების ზრახვებს, ნათქვამია ინდოეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

ადნის სააგენტოს ცნობა

ბერლინი. ადნის სააგენტომ გავრცელა ცნობა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა თავის სამთავრობო განცხადებაში დაადასტურა, რომ ბონს სურს მომავალშიც განაგრძოს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საგარეო საქმეთა მინისტრის სახით დაეთანხმა ნატოს კონცეფციას, რომლის შესაბამისად კონფრონტაციის პოლიტიკამ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარეულებს, მთელი ძალით ზეგავლენა უნდა მოახდინოს ვითარებაზე ევროპაში. გაისმის მოლაპარაკების ჩაშლის, ურთიერთობის გაწყვეტის, კონტაქტების მოშლის მუქარა, თითქოს არც კი არსებობდეს რამე ხელშეკრულება.

უარის თქმის პოლიტიკიდან, რომელიც განვლილ კვირაში ხორციელდებოდა, ახლა, ალბათ, სურთ გადავიდნენ ურთიერთობის გადაწყვეტის პოლიტიკაზე, განაგრძობს საგენტო. ის, ვისაც იმედი აქვს გაფფართოოს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო დიდგერმანული დოქტრინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და გადააქციოს იგი ნატოს ექსპანსიად აღმოსავლეთის მიმართულებით, ხელს უშლის დაძაბულობის შენელებას ევროპაში და ცდილობს გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც ბუმერანგივით თვით ამ დოქტრინის ავტორებს მოხვდებათ. ამით, რა თქმა უნდა, ხიფათში ჩაგდებენ ყველფერს, მათ შორის ყოველივე იმისაც, რაც კონსტრუქციული პოლიტიკის წყალობით მიღწეული იყო განვლილ წლებში მშვიდობის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებისათვის, ადამიანების და, რა თქმა უნდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის.

ჩვენ მხოლოდ ის შეგიძლია, რომ სრულიად სერიოზულად გავაფრთხილოთ, რომ არ გადადგან ნაბიჯები, რომლებიც საფუძველს გამოაცლიდა ნორმალურ სახელმეკრულებო ურთიერთობას. ჯერ კიდევ დროა, გონს მოვიდნენ. კიდევ შეიძლება კარი ღია დარჩეს გონივრული მოქმედებისათვის.

ი. კადარის გამოსვლა

ბუდაპეშტი. 15 დეკემბერი. აქ გაიმართა უნგრეთის პროფკავშირთა XXIV ყრილობა, რომელზეც გამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი. მან თქვა, რომ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეთა მოსკოვის შეხვედრას. ი. კადარმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის შეხვედრის დროს სოციალისტურმა ქვეყნებმა გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება გაგრძელონ ბრძოლა დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და პლანეტაზე დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა ორატორმა, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებებს სპარსეთის ყურის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზების შესახებ, რომლებიც მან ჩამოყალიბა ინდოეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს.

შეეხო რა პოლონეთის მდგომარეობას, ი. კადარმა აღნიშნა, რომ პოლონელ ძმა პოლონელთის სახალხო რესპუბლიკის ხალხს ძალა შესწევთ გადაჭრან ამჟამად არსებული პრობლემები და უზრუნველყონ სოციალიზმის გზით პოლონეთის შემდგომი წინსვლა.

თავის სიტყვაში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დაწვრილებით შეეხო აგრეთვე უნგრეთის პროფკავშირული მოძრაობის საკითხებს, ქვეყანაში საშინაო-პოლიტიკური ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან მომენტებს.

ბიდიზარისტული კურსის წინააღმდეგ

იაპონიის „თავდაცვის ძალები“ ახლა ერთ-ერთი მძლავრი არმიაა აზიაში. იგი აღჭურვილია ყველაზე უფრო თანამედროვე იარაღით — საბრძოლო თვითმფრინავებით, გემებით, რაკეტებით, შორსმსროლელი არტილერიით. ყოველწლიურად სამხედრო საჭიროებებისათვის იაპონიაში იხარჯება სულ უფრო მეტი მილიარდი იენი. სულ უფრო მჭიდრო ხდება ტოკიო-ვაშინგტონის მილიტარისტული კავშირი: ადგენენ ერთობლივ სამხედრო გეგმებს, აწყობენ ერთობლივ სამხედრო მანევრებს, ფართოვდება იაპონიაში არსებული ამერიკული სამხედრო ბაზების ქსელი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მძიმე ტვირთად აწვება იაპონელ მშრომელებს. იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობა მთავრობისაგან მოითხოვს სამხედრო შეიარაღების შემცირებას, ხალხის ფართო ფენების შრომისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

სურათებზე: ტოკიოში გამართული მანიფესტაციის მონაწილეები მოითხოვენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (ზემოთ); ამერიკისა და იაპონიის ერთობლივი სამხედრო სწავლება ოკინავაზე (ქვემოთ მარცხნივ); ქალაქ ფუკოკის საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს იაპონიის მთავრობის მილიტარისტულ პოლიტიკას.

,,კომუნისტის“ მიმოხილვა

ბრიუსელში გაიმართა ახლა უკვე „ტრადიციული ატლანტიკური კვირეული“, რომელსაც ტონი მისცა (როგორც ეს სავსებით მოსალოდნელი იყო თანამედროვე პირობებში) თავდაცვის მინისტრთა და სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის სხდომებმა. მიზანი ერთი იყო: გაადიდებინონ ნატოს წევრეს სამხედრო ხარჯები; სამუდამად კვლავ ძველთა ძველი მითი — „საბჭოთა საფრთხის ზრდა“ და განსაკუთრებით „პოლონეთში საბჭოთა ჩარევის მუქარა“ გამოიყენეს.

გადავხედოთ თუნდაც საფრანგეთის მემარჯვენე პრესის ფურცლებს. მხოლოდ მიმდინარე წლის განმავლობაში ხშირად შეგეძლოთ ამოგეკითხათ, რომ „რუსეთის ტანკები ირანის კარიბჭესთან დგანან“ („მატენი“), „საბჭოეთი მზად არის დაიწყოს ომი ნავთობის ნაკლებობის გამო“ („ფრანს სუარი“), „ავღანეთის შემდეგ იუგოსლავიის ჯერი დადგა“ („ოროორი“), „ათი მილიონი იუგოსლავი მზად არის“ ა. შ. ახლა რიგი პოლონეთზე მიდგა და „რუსეთის ტანკები ვარშავის მისადგომებზე გამოჩნდნენ“, ხოლო „პოლონეთის კომუნისტური პარტია დახმარებისათვის საბჭოეთს მიმართავს“. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წარმომადგენლის ი. კლაას განცხადების მეტად თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე საფრანგეთის რადიოს მიმომხილველმა ჟ. ოკრანმა დაასკვნა, რომ „მოსკოვში გასულ ხუთშაბათს (რა გასაოცარი სიზუსტეა! — ე. მ.) მიღებულია გადაწყვეტილება შეჭრის შესახებ“, ხოლო ტელევიზორების ეკრანებზე „საბჭოთა ტანკები“. ამ განცხადების შემდეგ კიდევ ორმა ხუთშაბათმა განვლო, მაგრამ არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნატოს სესია მეტად ნერვიულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

თუმცა აქაც ყველაფერი როდი მიდის ვაშინგტონში შემუშავებული სცენარის მიხედვით. გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ აღიარა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობენ განახორციელონ „შეერთებული შტატებისაგან სულ უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა“, ხოლო დასავლეთგერმანულმა „ფრანკფურტერ ალგემაინემ“ შენიშნა, რომ „პარტნიორები შეფიქრიანდნენ ნატოში შინაგან წინააღმდეგობათა გამო, რომლებიც გამომჟღავნდა დამატებითი შეიარაღების საკითხში“.

საქმე ის არის, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობა სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას უწევს პენტაგონის გეგმებს, რაც აღიზიანებს ნატოს ხელმძღვანელობას. ამ დღეებში დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ნოე რურ-ციტუნგის“ ფურცლებზე ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის გენერალურმა მდივანმა ა. ლუნსმა უმადლოდ ... ამ ... „ნატოში შემავალი ევროპის ქვეყნები სოციალური საჭიროებისათვის შვიდჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე თავდაცვისათვის“.

ასეთი რამ კი, ი. ლუნსის აზრით, სრულიად შეუწყნარებელია ახლა, როდესაც პოლონეთში „საფრთხე შეიქმნა“. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში „მივიწყებას“ მიეცა ის გარემოება, რომ პოლონეთი სოციალისტური ქვეყანაა, არ არის მათი მოკავშირე და არც ამერიკის „გავლენის სფეროში“ შედის; თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს მამომხილველ რ. ბერტის („ნიუ-იორკ ტაიმსი“) აზრი, რომლის თანახმადაც ვაშინგტონში „იმ დასკვამდე მივიდნენ, რომ... მსოფლიოში არ არსებობს ისეთი რაიონი, რომელიც სცდებოდეს ამერიკის ინტერესების სფეროს“. ამიტომ შეერთებულ შტატებს ესაჭიროება „სამხედრო პოტენციალი, საკმარისი იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ძალადობას ნებისმიერ დონეზე ყველგან მსოფლიოში“.

ეს პენტაგონის ფორმულა დღეს გავრცელებულია ნატოს თხუთმეტივე სახელმწიფოზე: მსოფლიო საინტერესოა, რომ სულ ორიოდე თვის წინათ ბრიტანეთის ფორინ ოფისი და თვით ზბ. ბჟეზინსკიც კი შექმნილ ვითარებაში დიდ საშიშროებას ვერ ხედავდნენ. მაგალითად, ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, მისთვის უჩვეულო გამოფხიზლების ერთ-ერთ იშვიათ მომენტში განაცხადა, რომ „ამ საქმის გამო სრულიადაც არ არის საჭირო ისტერიაში გადავარდნა“. რადგანაც, მისი აზრით, არც მოსკოვს, არც ვაშინგტონს და არც ვარშავას მდგომარეობის გამწვავება არ სურთ.

გვერდს ვერ ავუვლით ორ უკანასკნელ ცნობას, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიმავალი და მომავალი ადმინისტრაციები შეერთებულ შტატებში საკმაოდ შეხმატკბილებულად მოქმედებენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ამ დღეებში სენატმა „ურჩია“ კარტერს „გაფფრთხილოს“ საბჭოთა კავშირი, ხოლო რ. რეიგანის „გუნდიდან“ გაისმა ხმა, რომ პენტაგონის ახალი ხელმძღვანელობა, კარტერისაგან „განსხვავებით“, სოციალიზმს აღმოსავლეთ ევროპაში „შემთხვევით მოვლენად“ მიიჩნევს და დახმარებას აღმოუჩენს ყველა სუპარტისტულ მოძრაობას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოვიგონოთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის განცხადება ინდოეთში ვიზიტის დროს: „სახელმწიფო პოლიტიკის სიბრძნე როდი ნიშნავს იარაღის ყიდვას და იმის ცდებს, რომ საკუთარი ნება თავს მოახვიონ სხვა ხალხებს. ასეთი რამ წარსულშიც არაერთხელ უცდიათ, და კარგად არის ცნობილი, რითი დამთავრდა ყოველივე ეს“.

საჭიროა ყოველივე ეს გაითვალისწინოს ყველამ, ვინც დღეს ახალი ბიოკტით ემუქრება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს მათთვის სასურველი „ლიბერალიზაციის პროცესის“ შეწყვეტის შემოხვევაში.

პოლონელები კი ისე ფიქრობენ, როგორც ეს ახალდანშნულმა ვიცე-პრემიერმა ე. ოდლოვსკიმ განაცხადა „ლუმანიტეს“ კორესპონდენტთან საუბარში: „ყველაზე ძნელმა პერიოდმა უკვე განვლო... პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, „სოლიდარობისა“ და მოიწმენეთა წარმომადგენლები: ჩვენ ყველანი პოლონელები ვართ... და ერთმანეთს გავიგებთ“.

ვარშავის ქვეყნების უკანასკნელ თათბირზე მოსკოვში გამოითქვა იმის რწმენა, რომ პოლონელი ხალხი, მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით დაძლევს ყველა არსებულ სიძნელეს და მტკიცედ დაიცავს სოციალისტურ მონაპოვრებს.

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

დამოუკიდებლობის დღე

ნაირობი. კენიელმა ხალხმა ფართო მანიფესტაციებით აღნიშნა ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე. ბრიტანეთის იმპერიალიზმთან ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობის გამოცხადების 17 წლისთავის გამო დიდი ზეიმი გაიმართა ნაირობში, სადაც მოეწყო სამხედრო პარადი და დედაქალაქის მცხოვრებთა მასობრივი მიტინგი.

დედაქალაქში გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი დანიელ არაპ მოი და ხალხს მოუწოდა ყოველმხრივ გამოიყენოს მომავალი პერსპექტივები.

იცოდეს ყველა საწარმოსა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომ ლითონს „ოთხ-მენლად ელიან რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის მანქანათმშენებელი, თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსასხმელო ქარხნები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი საწარმო!

პარტიის ყველა რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტმა, საბჭოთა ორგანოებმა საგანგებო ღონისძიებები უნდა განახორციელონ ლითონის დამზადების დაკემბრის, მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალების უთუო რეალიზაციისათვის. ამ საქმისადმი გულგრილობა არავის არ ეპატიება.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

პერუს კომპარტიის განცხადება

ლიმა, 15 დეკემბერი. პერუს კომპარტიამ აქ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გადაჭრით უარყოფს პერუს მმართველი წრეების განზრახვას — თიეს მოახვიოს ქვეყანას კანონი ნავთობის შესახებ, რომელიც ხელსაყრელია ამერიკის ნავთობის მონოპოლიების საქმიანობისათვის. როგორც ცნობილია, შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც ამ მონოპოლიებს პრაქტიკულად ათავისუფლებს გადასახადებისაგან, ამ დღეებში მოიწონა ეროვნულმა კონგრესმა და, კერძოდ, დეპუტატთა პალატამ, სადაც პროტესტის ნიშნად მემარცხენე ძალებისა და სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა დატოვეს სხდომათა დარბაზი. კონსტიტუციის თანახმად, ეს პროექტი კვლავ უნდა წარადგინონ პარლამენტში დასამტკიცებლად.

როგორც აღნიშნულია პერუს კომპარტიის განცხადებაში, ეს კანონპროექტი ლახავს პერუს მშრომელთა საარსებო ინტერესებს და ხელყოფს რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

15 დეკემბერი

● **ბონი.** დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, გერმანიის მშვიდობის კავშირის დირექტორატის წევრმა ლ. კნორმა აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატებიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოთხი ამერიკული ჯაზშუში თვითმფრინავის გადმოგზავნა.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიას უფლება შესაძლებლობა აქვს, რათა გაიმარჯვოს ინფლაციასთან ბრძოლაში და დაძლიოს ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც იგი განიცდის, განაცხადა ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოაო ბატისტა დი ოლივეირა ფიგეირედუმ.

საზეიმოდ შეხვდა 15 დეკემბერს ვარსკვლაველთა ქალაქი „სოიუზ ტ-3“ ხომალდის გამოცდელთა ეკიპაჟის წევრებს. მათმა წარმატებულმა ფრენამ ღირსეულად დააგვირგვინა კოსმოსში საბჭოთა კვლევის მორიგი ხუთწლედი.

მარტო ხუთწლედის დამამთავრებელ წელს „სალუტ-6“ ორბიტულ სადგურში ექვსმა ეკიპაჟმა იმუშავა. მსოფლიო კოსმოსავტეკის უთვალსაჩინოეს წარმატებად იქცა ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის 185 დღის ექსპედიცია. ამ წლის მანძილზე სადგურმა უმასპინძლა სამ საერთაშორისო ეკიპაჟს უნგრელი, ვიეტნამელი,

XXVI სკკპ ყრილობის შესახებ

აღმშენებლობის პროგრამა

გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება

განვიხილავთ პარტიის XXVI ყრილობის სკკპ ცენტრალური კომიტეტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“

უმთავრესი საზრუნავი

სასურსათო პრობლემა — ყურადღების ცენტრში

სასურსათო პრობლემის თანამიმდევრული გადაწყვეტის საფუძველზე უზრუნველყოთ მოსახლეობის კვების შემდგომი გაუმჯობესება ყველაზე ნოყიერი პროდუქტების მოხმარების გადიდების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან პარტიის XXVI ყრილობისათვის.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტში აღნიშნულია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მკვეთრად უნდა გაფართოვდეს როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი.

მეთერთმეტე ხუთწლედში, მეათე ხუთწლედისაგან განსხვავებით, დასახულია „ბ“ ჯგუფის დარგების, მათ შორის კვების მრეწველობის უპირატესი განვითარება. მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება მიჩნეულია უპირველეს ეკონომიკურ და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანად. ამასთან პროექტში ახლებურად არის წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით სასურსათო პროგრამის განხორციელების საკითხი.

პროექტის მიხედვით მეთეთრმეტე ხუთწლედში კავშირის მასშტაბით გათვალისწინებულია მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოების ზრდა 236-243 მილიონ ტონამდე. ხორცის საშუალო წლიური წარმოების მატება ნავარაუდევია 17_17,5 მილიონ ტონამდე (ნაკლავი წონა), ხოლო რძისა — 97_99 მილიონ ტონამდე.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მომავალ ხუთწლედში სსრ კავშირის კვების მრეწველობაში პროდუქციის გამოშვების ზრდა გათვალისწინებულია 23-26 პროცენტით. სწრაფი ტემპით განვითარდება მომხმარებლისათვის გამზადებული პროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, კულინარული ნაწარმის, კარტოფილის პროდუქტების და ახალგაყინული ხილ-ბოსტნეულის გამოშვება. უზრუნველყოფილი იქნება საბავშვო და დიეტური კვების პროდუქტების წარმოების უპირატესი განვითარება.

მნიშვნელოვნად მაღლდება სოფლის მეურნეობის ნედლეულის დამუშავების კომპლექსურობა, გაუმჯობესდება მისი გამოყენება, დაინერგება წარმოების უწყვეტი სქემები, ინტენსიური რეჟიმები და სხვა.

საქართველოს პირობებში პროექტით გათვალისწინებულია მკვეთრად გაიზარდოს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, ისე მისი გადამუშავების ტემპი. 1981-1985 წლებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საშუალო წლიური წარმოება გაიზრდება 466 ათას ტონამდე, ნაცვლად მეათე ხუთწლედში მიღწეული 431 ათას ტონისა, ყურძნისა— 1-1,1 მილიონ ტონამდე, ნაცვლად მიღწეული 697,6 ათასი ტონისა, ხორცის წარმოება (ნაკლავი წონა) დაგეგმილია გაიზარდოს სულ ცოტა 160 ათას ტონამდე ნაცვლად მიღწეული 136,2 ათასი ტონისა, რძისა — სულ ცოტა 710 ათას ტონამდე, ნაცვლად მიღწეული 642 ათასი ტონისა და სხვ.

კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება 1985 წლისათვის გაიზარდება 1,3-ჯერ, მათ შორის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მთლიანი პროდუქციის მოცულობა მეთერთმეტე ხუთწლედში იმატებს 24,7 პროცენტით. მომავალ ხუთწლედში სწრაფი ტემპით გაიზრდება ღვინის წარმოება, კონსერვების, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, კომფეტრო და კვების მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციის გამოშვება. მომავალ ხუთწლედიდან საკმაოდ განმტკიცდება კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში გათვალისწინებულია ოცი ახალი ობიექტის მშენებლობა და ოცდათხი ობიექტის გაფართოება-რეკონსტრუქცია.

რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ სისტემაში უნდა აიგოს რვა ახალი მნიშვნელოვანი ობიექტი, განხორციელდება ოცდაორი ობიექტის გაფართოება — რეკონსტრუქცია. რესპუბლიკური გაერთიანების „საჩაის“ სისტემაში აშენდება ოცი ახალი ჩაის ფაბრიკა, გაფართოვდება და რეკონსტრუირებული იქნება თექვსმეტი ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა. ასევე დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და „საქთვევზმრეწვის“ გაერთიანების სისტემაში.

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოებში მეთერთმეტე ხუთწლედისთვის დასახულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ასორტიმენტის გაფართოებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფართო პროგრამა.

რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა საერთო-საკავშირო სასურსათო პროგრამის ნაწილია და იგი ზუსტად არის განსაზღვრული. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს სასურსათო პროდუქტების რესპუბლიკაში წარმოების ნომენკლატურა, პროდუქტების გატანისა და შემოტანის რაოდენობა იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში რესპუბლიკაში ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება უწინარეს ყოვლისა მიუახლოვდეს საერთო-საკავშირო დონეს.

იმედია, იმ რეზერვების გამოძებნა და ამოქმედება, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას უხვად აქვს, ხელს შეუწყობს პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

სასურსათო პროგრამის დამუშავებაში ფართოდ უნდა ჩაებან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და სასურსათო მანქანათმშენებლობის მუშაკები, საგეგმო ორგანოები და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე დიდი ყურადღება დაუთმო სასურსათო პროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეს, მან თქვა, რომ „იმ საკითხთა შორის, რომლებზეც დამოკიდებულია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე, პირველ ადგილზეა სურსათით მომარაგების გაუმჯობესება“.

ამ დღეებში კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს სასურსათო პროგრამის შემმუშავებელი რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა, რომელიც საქართველოში სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებას მიეძღვნა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, იმისათვის, რომ რესპუბლიკაში დადებითად გადაიჭრას სასურსათო პრობლემა, საჭიროა სამი ძირითადი ამოცანის დაძლევა: „პირველი, გამოიძებნოს რეზერვები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების უცილობელი ზრდის უზრუნველსაყოფად; მეორე უზრუნველყოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის იმ დარგების უპირველესი და მაქსიმალური განვითარება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საკავშირო სასურსათო პროგრამისათვის; მესამე, უზრუნველყოს საერთო საკავშირო მნიშვნელობის დარგებისათვის ზიანის მიუყენებლად, სოფლის მეურნეობის იმ დარგების დაჩქარებული განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის განხორციელებას“.

ო. გიორგობიანი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ერედველთა სამომავლო მიჯნები

ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის საერთო კრებაზე

ერედველ მიწათმოქმედებს ყოველწლიურად ახალ საფეხურზე აჰყავთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მათ წლეულს მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა შეასრულეს, ხოლო შაქრის ჭარხალი ახალი ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშში მიჰყიდეს სახელმწიფოს. შრომის ნაყოფიერების გადიდების კვალობაზე იზრდება მეურნეობის შემოსავალი და გამრჯე კაცის შრომის ანაზღაურებაც, რომელმაც ბოლო 5 წელიწადში 12 პროცენტით მოიმატა.

ეს წარმატებები ხვალ-ზეგ განვლილ ეტაპს მიეკუთვნება, მაგრამ ისინი კიდევ უფრო აღვიებს მეურნეობის კოლექტივის მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, ვინაიდან ახალი მწვერვალიდან უფრო ნათლად ჩანს დასაძლევი მიჯნები.

— სამომავლო მიჯნებს განსაკუთრებით მკაფიოდ ვხედავთ დღეს, როცა პარტიის ახალი აღმშენებლობის პროგრამა თავდადებული შრომისათვის მოგვიწოდებს, როცა დადგა დრო შეავჯამოთ შედეგები და განვსაზღვროთ წინსვლის მაქსიმალური შესაძლებლობები, — თქვა მეურნეობის დირექტორმა გ. ხადურმა კრებაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების პროექტის განხილვას მიეძღვნა.

მეურნეობის დირექტორის მოხსენებაში მოყვანილი იყო ზრდის ციფრები. მაგალითად, აქ მეცხრე ხუთწლედში მარცვლეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობა ფუ 13,5 ცენტნერს აღწევდა, მეათე ხუთწლედის ბოლოს საშუალოდ ერთ ჰექტარზე 40 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს. მართალია, ეს მაჩვენებელი საშუალო რესპუბლიკურ დონეს ორჯერ ჭარბობს, მაგრამ ერედველ მემინდვრეებს მეტის მიღწევა ძალუძთ. ამაზე მეტყველებს ცალკეული მხვნელ-მთესველების შედეგები. მექანიზებულმა რგოლმა, რომელსაც გ. გოგიშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 63,4 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი გალეწა.

ძირითად მიმართულებებში, აღინიშნა კრებაზე, გადაუდებელ ამოცანად არის დასახული საკვებწარმოების ძირეული გაუმჯობესება და საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მოქალაქეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ამ პრობლემის გადასაჭრელად ერედვში ბევრი რამ გაკეთდა. ბოლო წლებში აქ გაფართოდა უხვცილოვანი საკვები კულტურების ნათესები. საგანგებო ყურადღება დაუთმეს შუალედური კულტურების მოყვანას და ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებას.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მეურნეობის საკვებწარმოებაში. უწინარეს ყოვლისა, გაუმჯობესებას საჭიროებს საკვების ხარისხი, რომელიც უარესდება მოსავლის აღებისა და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის გამო.

კრების მოხსენებებმა, გულდასმით გაანალიზეს რა წარმატებები, ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე და მათ აღმოსაფხვრელად გამოთქვეს მოსაზრებები.

მათ აღელვებთ ხილისა და ბოსტნეულის დამზადების გეგმების შეუსრულებლობა, აგრეთვე ის, რომ დაგეგმილზე ძვირი უჯდებათ ხორცისა და რძის წარმოება.

— ფერმის პროდუქციის თვითღირებულება იმიტომაც არის დიდი, — თქვა მეურნეობის ზოოტექნიკოსმა ნ. ვახტანგაშვილმა, — რომ ძველ ბოსლებში ჯერ კიდევ ხელით რიგდება საკვები და ინველება პირუტყვი. გარდა ამისა, საჭიროა გაუმჯობესდეს ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა. მეცხოველეებს სხვა შესაძლებლობებიც აქვთ გამოუყენებელი, მაგრამ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების მთავარი რეზერვი აქ შრომის ნაყოფიერების გადიდება, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვაა. ამას მოწმობს ერთსა და იმავე ბრიგადაში მეცხოველეთა ძალზე კონტრასტული შედეგები. მაგალითად, ზ. თუაევა და რ. ტერაშვილი წელიწადში 2 ათასამდე კილოგრამ რძეს წველიან თითოეულ ფურზე, მათი ბრიგადის წევრები ნ. ნიკორაშვილი და მ. თუაევა კი იგივე პირობებში ამ მაჩვენებლის ნახევრით ქმაყოფილდებიან.

ორატორებმა — მთავარმა აგრონომმა ბ. არსოევმა, ეკონომისტმა ა. ჯიკაევამ, ბრიგადირმა ი. ბორკვაძემ, ადგილკომის თავმჯდომარემ დ. ქუენაშვილმა, ნოვატორმა მეჭარხლემ ვ. ტერაშვილმა ერთსულოვნად მოიწონეს ახალი მიმართულებების პროექტი, ამასთან გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება მათი მუშაობის სხვადასხვა უბანზე საქმეს წინწასწევს.

კერძოდ, მათ საჭიროდ მიიჩნიეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ენერგოაღჭურვილობას, ვინაიდან ამ მაჩვენებლით ერედველები მოწინავე მეურნეობებს თითქმის სამჯერ ჩამორჩებიან. აქ ერთ მუშაზე გაანგარიშებით ენერგოაღჭურვილობა მხოლოდ 4,5 ცხენის ძალას შეადგენს; უნდა აღიკვეთოს ხილის ბაღებში ბოსტნეული კულტურების თესვა, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობაში ორივე ამ ჩამორჩენილი დარგის აღმავლობას; ერედველებს დიდი ხანია აწუხებთ ისიც, რომ ვერ მოხერხდა მათი სოფლიდან ცხინვალამდე ავტობუსის დანიშვნა და სხვ.

ყოველივე ამის გარდა, ერედველ მშრომელებს სხვა ბევრი წინააღმდეგობაც აქვთ დასაძლევი მეთერთმეტე ხუთწლედში აღმავლობის, შენებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე, მაგრამ მათი თავდადებული გარჯა სამართლიანი დევიზით — „ჩვენ — ხუთწლედს, ხუთწლედი — ჩვენ“ — ახალი შრომითი მიღწევების საწინდარია.

ვ. კასრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჩვენი აზრით

ადამიანი რომ ჯან-მრთელი იყოს...

ავამაღლოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე და ხარისხი, გავითვალისწინოთ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება, მისი სტრუქტურის სრულყოფა და რაციონალური განლაგება.

გავაფართოოთ ბავშვებთან ერთად მშობელთა ერთობლივი დასვენებისა და მკურნალობის შესაძლებლობანი...“

ამ სიტყვებით მკაფიოდ არის გამოხატული ადამიანის ჯანმრთელობაზე პარტიის მუდმივი ზრუნვა.

ჯავის რაიონის კურორტი „ძაუც“ ათეული წლებია დგას ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში. მაგრამ იგი ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. მხოლოდ 200-ადგილიანი ჯანმრთელობის კერა ერთადერთია ჯავაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომაც აქ დაწყებულია 500-ადგილიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც ახალ ხუთწლედში დამთავრდება. მაგრამ ეს ცოტაა, ჯავის რაიონის ბუნებრივი სიმდიდრე მისი ანკარა მინერალური წყაროები უფრო მეტად უნდა ჩადგეს ხალხის სამსახურში. ვფიქრობ, **კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ ჯავაში ერთი ისეთი კერის აშენებას, სადაც დედა და შვილი ერთად დაისვენებს, იმკურნალებს.** ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში უნდა ჩადგეს აგრეთვე კოზის ტბა, ედისისა და ბაგიათის მინერალური წყლების ლამაზი ადგილები. **ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ პროექტში სათანადოდ აისახება განსაკუთრებით მთიანი ზონის კურორტების გაფართოებული მშენებლობის საკითხი.**

მ. ხეთაგუროვა,
კურორტ „ძაუს“ მთავარი ექიმი.

ზრდის ციფრები

რწყვის სიკეთე

საქართველოს მიწების გასარწყავებისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაიწყო. შემდეგ პირველი ხუთწლედების პერიოდში იზრუნეს ალაზნის ველის გასარწყავებაზე, აშენდა ალაზნის სარწყავი სისტემა, მას მოჰყვა ქართლის რეგიონში სარწყავი არხების გაყვანა, შემდეგ კი სამგორის სარწყავი არხი გაიყვანეს და წინათ ბრიოკი, უნაყოფო მინდვრები ბაღვენახებად აქციეს, სარწყავში მოჰყავთ მარცვლეული და ბოსტნეული, პირუტყვის საკვები.

აღმოსავლეთ საქართველოში მეათე ხუთწლედში მიწების გასარწყავების მიზნით დიდძალი სამუშაოები შესრულდა. გაჰყავთ არხები, ზოგან კი დაწვიმებით რწყავენ ნათესებს, მინდვრებს. მარტო ზემო ალაზნის არხის მშენებლობაზე, რომელიც სახალხო მშენებლობად არის გამოცხადებული, მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში 40 მილიონი მანეთის სამუშაო შესრულდა და 15 ათასი ჰექტარი მიწა გასარწყავდა. გადამეტებულია მეოთხე წლის დავალებაც. 18,7 მილიონი მანეთის ნაცვლად 14,4 მილიონი მანეთის საერთო სამუშაოები შესრულდა. ხაექსპლოატაციოდ გადაეცა შვიდი ათას ჰექტარამდე მიწა. წარმატებით სრულდება ხუთწლედის მეხუთე წლის დავალებაც.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ — მიწების გასარწყავებისათვის დიდძალ თანხებს ითვალისწინებს.

ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პროექტით საქართველოში 60 ათას ჰექტარი უნდა გასარწყავდეს. ამ სამუშაოებზე დიდძალი სახსრები დაიხარჯება. ამით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება იმატებს და ჩვენი რესპუბლიკა საპატიო წვლილს შეიტანს ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ყოველივე ეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის გამოხატულებაა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისა და მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ამ დიდ ზრუნვას, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებიც გაორკეცებული შრომით უპასუხებენ.

პროექტით რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედში 60 ათასი ჰექტარი მიწა გასარწყავდება.

ზეიმობდა პოეტის მშობელი კუთხე

დიდი მგოსნის დაბადების 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა ზეიმმა ყველა მსურველი ვერ დაიტია. ტრიბუნად ქცეულ „მოდინახეს“ დარბაზებად სავანე და სხვიტორი გადაეშალა. წინადღით წვეულ საპატო სტუმრებს ყველა კუთხიდან ჩამოსული პოეზიის ათასობით მოყვარული შემოუერთდა.

აკაკის ამღერებული ლექსები ისმის ირგვლივ... სახალხო ზეიმობის მონაწილენი მგოსნის ძიძისეული ქოხისაკენ მიემართებიან.

სადუნიშვილისეული ქოხი ისევ ისე გამოიყურება, როგორც აკაკის ბავშობაში, ეზო-გარემოს ისევ დაჰყურებს კორტხოზე წამოდგმული წმინდა გიორგის ეკლესია. აქ აიდგა ფეხი პოეზიის დიდმა ქურუმმა, აკი თვითონაც ამბობდა: „თუ რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდიო“.

ქოხის წინ გამართულ სახელდახელო ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ მწერალთა ტიტულ-ფურცელი: „ეს არის რეცენზია ქართველი მეცნიერის გამოკვლევაზე, რომელიც დასტამბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ (1976 წელს ქართულ ენაზე, 1979 წელს — რუსულ ენაზე, ვრცელი ფრანგული რეზიუმეთი). ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი ინტერესით გაეცნობა რეცენზიას, რომლის თარგმანსაც მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ალექსიძის მონოგრაფია „ბერძნული სარაინდო რომანის ხმყარო (XIII–XIV სს.)“. ბერძნული სარაინდო რომანი, რომელიც აღმოცენდა ძველი და ახალი ლიტერატურული ტრადიციების მიჯნაზე, ნაკლებად არის შესწავლილი. ქართველი ფილოლოგის ა. ალექსიძის ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, რომელიც ნათელყოფს ამ პრობლემას. აღნიშნული საკითხების შესწავლას წინ უძღოდა მეცნიერის მიერ XII საუკუნის ბიზანტიური რომანების სეროიზული კვლევა, პროფესორ თ. პეტროსეკისთან ერთად XII საუკუნის ბიზანტიელი პოეტის ნიკეტა ევგენიანესადმი მიძღვნილი ნაშრომის გამოქვეყნება. ფრანგ ბიზანტოლოგებთან მრავალწლოვანმა თანამშრომლობამ გაალრმავა მისი ინტერესი ბიზანტიური სარაინდო ლიტერატურის ბერძნულ-ფრანგული სამყაროს მიმართ.

მნიშვნელოვან წყაროს, რომელმაც ხელი შეუწყო ა. ალექსიძეს უკეთ ჩასწვდომოდა ბიზანტიურ რომანთა პრობლემატიკას, ბიზანტიასთან ესოდენ დაახლოებული ქართული კულტურის ისტორია წარმოადგენდა.

წიგნში „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო“ საფუძვლიანად არის გამოკვლეული ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლები, რომლებშიც, ერთი მხრივ, თვალსაჩინოა ანტიკური ტრადიციათა გაგრძელება, ხოლო, მეორე მხრივ — ახალბერძნული. ლიტერატურის ტენდენციათა განვითარება. აქ ხვდება ერთმანეთს ორი სამყარო: დასავლეთი და აღმოსავლეთი, ბერძნული ფოლკლორი და დასავლური სარაინდო სტილია. შუა საუკუნეების მსოფლშეგრძნების, ესთეტიკის და პოეზიის მოვლენები აქ საინტერესოდ წარმოჩნდებიან არა მარტო სპეციალისტთა, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1204 წელს ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება ისტორიულ გარდატეხას მოასწავებდა დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროთა ურთიერთობაში. ამით გამოხატულება პოვა ყველა იმ საზოგადოებრივმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა წინააღმდეგობამ, რომლებმაც შემდგომ ესოდენ მკვეთრად დაუპირისპირა ერთმანეთს ქრისტიანული დასავლეთი და აღმოსავლეთი. ამასთან ერთად ჯვაროსნული ლაშქრობები, ა. ალექსიძის აზრით, არ წარმოადგენდა მარტოოდენ ბერძნულ-ლათინური ანტაგონიზმის გამძაფრების ფაქტორს. პარალელურად მიმდინარეობდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა ურთიერთგამდიდრების პროცესი. ამ კულტურის ერთ-ერთი გამოვლინებაა XIII-XIV საუკუნეების ბერძნული სარაინდო რომანი.

ეს რომანი, მართლაც, მეტად თავისებური ლიტერატურული მოვლენაა, რომელშიც ერთმანეთს ეერწყმის ელინისტური და ბიზანტიური ელემენტების სატრფიალო რომანების ტრადიციები. ბიზანტიურ პოეზიასთან კავშირი მას გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებს ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. იგი საინტერესო მოვლენაა იმ მხრივაც, რომ მასში თავისებურად განვითარებული ანტიკური რომანების ტრადიციები ახალბერძნული ლიტერატურის ცალკეულ მიმართულებათა სათავეებად იქცევა. გარდა ამისა, როგორც ა. ალექსიძე წერს, ეს ძეგლები XII საუკუნის რომანებისაგან განსხვავებით, განეკუთვნება ბერძნული ლიტერატურის ხალხურენოვან ნაკადს. და კიდევ ერთი რამ: ისინი არეკლავენ, გარკვეული ეპოქის კულტურულ კონტაქტებს ამ ეპოქის ბიზანტიურ და დასავლურ სამყაროთა შორის.

მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს თეორიას, რომელიც XII საუკუნის რომანს მიაწერს სიმბოლურ და ალეგორიულ ხასიათს და არკვევს სარაინდო რომანთა კავშირს წინამავალ ლიტერატურულ მოვლენებთან...

სარაინდო რომანების ლიტერატურული თავისებურებანი დაკავშირებულია შუა საუკუნეების მსოფლგაგებასთან და ესთეტიკასთან, ისეთ მოვლენებთან, როგორიც არის სიმბოლიზმი და ალეგორიზმი, დროის, ბედისწერის, სიკვდილის კატეგორიები, სიყვარულისა და მეგობრობის კონცეფცია, ბუნებისა და ხელოვნების აღქმა. სარაინდო რომანების პრობლემატიკა ბიზანტიური ფილოლოგიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ საკითხთა მთელი წყების განხილვის საფუძველს იძლევა. წიგნში ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლებთან ერთად მეტად ფართოდ განიხილება თანამედროვე და განსაკუთრებით, ბერძნული ფილოლოგიური ლიტერატურა.

ა. ალექსიძის წიგნი გვაწვდიდს მასალას, რომელიც უალრესად მნიშვნელოვანია ბიზანტიური ფილოლოგიისთვის საზოგადოდ.

შემთხვევითი არ არის, რომ თვალსაჩინო საბჭოთა ბიზანტოლოგებმა ბევრი რამ თქვეს და დაწერეს ამ ნაშრომზე. საბჭოთა აკადემიკოსი ზ. უდალცოვა მას ახასიათებს როგორც „მნიშვნელოვან, ნოვატორულ გამოკვლევას“. სხვა მომენტებთან ერთად იგი გამოჰყოფს მეცნიერული აზრის სიცხადეს და იმ გარემოებას, რომ წიგნის ავტორი ლიტერატურის ისტორიის ფაქტებს აკონტროლებს და აფასებს კულტურის ისტორიის ფაქტების მთლიან სისტემაში. „ცნობილი საბჭოთა ელინისტი ი. ბელეკი (საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი) აღნიშნავს, რომ „წიგნი წარმოადგენს ორიგინალურ გამოკვლევას, ახალ სიტყვას საბჭოთა და უცხოურ ბიზანტოლოგიაში“, ხოლო გამოჩენილი ელინისტის, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგის ა. ტახო-გოდის სიტყვით, „წიგნში ორგანულად არის შერწყმული ელინიზმი და ბიზანტია, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ანტიკური და ბიზანტიურ ეპოქათა ლიტერატურული ნაკადები“.

ამრიგად, საქმე გვაქვს ფილოლოგიის მეცნიერების მნიშვნელოვან გამოკვლევასთან. დიდად სასურველია, რომ ქართველი ფილოლოგის ეს საუცხო მონოგრაფია ითარგმნოს ბერძნულ ენაზეც.

„ეს საუცხოო მონოგრაფია...“

ბერძნული გაზეთი ქართველი მეცნიერის

ნაშრომის შესახებ

საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურმა საგანგებომ მიიღო საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რიზოსპასტისის“ ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია დიმიტრი ტუსლიანოსის წერილი სათაურით „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო — ფილოლოგიის მეცნიერების შენაძენი“. ეს არის რეცენზია ქართველი მეცნიერის გამოკვლევაზე, რომელიც დასტამბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ (1976 წელს ქართულ ენაზე, 1979 წელს — რუსულ ენაზე, ვრცელი ფრანგული რეზიუმეთი). ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი ინტერესით გაეცნობა რეცენზიას, რომლის თარგმანსაც მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ.



ზეიმობდა პოეტის მშობელი კუთხე

აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეები სავანესა და სხვიტორში

ეს იყო 1912 წლის 13 ნოემბერს. რვა წელიც არ შემსრულებოდა, ხონში ვსწავლობდი ივანე შარაშიძის სახელობის პირველდაწყებითი სკოლის პირველ კლასში. ერთ დღეს გაკვეთილზე შემოსვლისთანავე ხანში შესულმა მასწავლებელმა ქალმა გვკითხა:

— ბავშვებო, ვის სახელს ატარებს ჩვენი სკოლა? — თქვა და თვალებზე ცრემლები მოადგა... შეცბუნებულნი ვუყურებდით მასწავლებელს და ენა ვეღარ დაგვეძრა. მაშინ მასწავლებელმა კედელზე ჩამოკიდებულ დიდ სურათზე მიგვითითა, რომლიდანაც სანდომიანი სახის მოხუცი შემოგვყურებდა. მე ამ ადამიანმა დედაჩემთან ერთად რამდენჯერ ვხლებივარ სახლში. დედაჩემი დაობლებული შვილების აღზრდაში მას ხშირად თხოვდა დახმარებას, ამიტომ უცებ წამოვიძახე:

— მასწავლებელო, ივანე შარაშიძის სახელობისაა ჩვენი სკოლა!

— ყოჩაღ, ბიჭო! — და მასწავლებელმა გვითხრა, — ჰოდა, ბავშვებო, ამ დიდებულ ადამიანს ხონის საზოგადოება დღეს ასაფლავებს ბულვარში და ჩვენც უნდა წავიდეთ მის დაკრძალვაზე!

ქუჩაში ხალხის ტევა არ იყო, მაგრამ მასწავლებლები წინ მიგვიძღოდნენ და გზას გვიკაფავდნენ. ამ დროს ხალხში გაისმა:

— აკაკი, აკაკი!

ამ ხმას მეორე დაემატა: ნიკო, ჩვენი ნიკო ნიკოლაძე ჩამოსულაო.

ჩვენს ოჯახში აკაკიზე ბევრი რამ გამეგონა, ბევრი მისი ლექსი სკოლაში შესვლამდე ზეპირად ვიცოდი.

ამ დიდებული მგოსნის ერთი დიდი სურათიც გვეკიდა სახლში და ახლა მწყობრში რა გამაჩერებდა, აკაკისათვის როგორმე თვალი უნდა შემევლო.

ყველანი აკაკის დავეძებდით. ბულვარის თაგში, ზედ წმინდა გიორგის ეკლესიის წინ, ორ უზარმაზარ ჭადარს შუა გათხრილ სამარესთან შედგა ეს ზღვა ხალხი. აქ პირველი სიტყვა ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ წარმოთქვა. დაამთავრა თუ არა მან სიტყვა, ხალხში ძახილი გაისმა:

— აკაკი, აკაკი! — ამ ხმას რალაც მაგიური ძალა ჰქონდა. ეს სახელი რომ გაგიგონე, მასწავლებელს მაშინვე გამოეპარე, ზღვა ხალხში გავძვერ-გამოვძვერი და აკაკის წინ ამოვყავი თავი. ჩემ წინ ადამიანი კი არა, რაღაც საოცრება იდგა. ზღაპრებში გაჟონილ ღმერთკაცად მეჩვენებოდა ეს თმებდათოვლილი მოხუცი. თავისი ახოვნებით იგი ყველას ფარავდა, ყველაფერს თავისთავად ბუნებრივად იმორჩილებდა.

აკაკიმ ტრიბუნიდან განაცხადა: „ცხოვრებაში პატარა კაცი იმავე დროს დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. ის არ გავდა ზოგიერთებს, საზოგადო მოღვაწეთა ქურქში გახვეულებს, რომელნიც მხოლოდ საკუთარ კუჭს ემსახურებიან. ამან შესწირა ყოველივე თავისი საპირადო საზოგადოებას და შრომაც მისი ნაყოფიერი გამოდგა. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ განსვენებული არ ყოფილა არც დიდი შთამომავალი, რასაც თვალახვეული ბრბო დღესაც კიდევ ანგარიშს უწევს, — ეს იყო ხალხის შვილი, ხალხისაგან გამოსული, ასე გასინჯეთ, სწავლაც კი არ ჰქონებია, მაგრამ მან დაგვიმტკიცა, რომ ყველას შეუძლია ქვეყნისათვის კეთილის მიტანა, თუ კი მოინდომებს“.

როგორც კი დაამთავრა სიტყვა და ტრიბუნიდან ჩამოვიდა, აკაკის ხალხი ზღვის ტალღასავით შემოეხვია. მაშინ მე ისევ გავძვერ-გამოვძვერი და მის წინ გაჯრნდი სხვა მოწაფეებთან ერთად, ახლაც ტანში ჟრუანტელივით მივლის როგორ ჩამოგვართვა ხელი დიდმა აკაკიმ, როგორ გადაგვკოცნა ბავშვები, დიახ, ახლაც მახსოვს ეს ამაღელვებელი სურათი.

აკაკის დიდი ამაგი მიუძღვის ჩემს მშობლიურ რაიონში სამასწავლებლო სემინარიის, გიმნაზიების და სხვა კულტურული კერების შექმნაში, ცხენისწყლიდან არხების გამოყვანაში, ვინ დაიიწყებს მის ამაგს თეატრის დაარსებაში, წარმოდგენების რეცენზირებაში და სხვა.

სიმონ წვერავა.

პირველად ვნახე აკაკი...

მგოსნის უკვდავი ქნარი

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ნათელი დღესასწაული გახდა დიდი პოეტისა და მოაზროვნის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შთაგონებული მომღერლის აკაკი წერეთლის დაბადების 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობა. ჭეშმარიტად სახალხო პოეტის ცხოვრება და შემოქმედება იყო საქართველოს მწერალთა კავშირის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესიის შინაარსი, სესიისა, რომელიც 15 დეკემბერს გაიმართა უმაღლესი სასწავლებლის საატო დარბაზში.

— დღეს შეგკრიბა დიდმა აკაკემ, რომლის შემოქმედების გარეშე ძნელია წარმოვიდგინოთ ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურა, — თქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ, როცა სესია გახსნა. — აკაკი წერეთლის — მგზნებარე პატრიოტისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის ლიტერატურული მემკვიდრეობა უაღრესად ადამიანურია, იგი ყველაზე ალმოჩენილია ადამიანებს და ანათესავებს ყველა ეროვნების ადამიანებს. პოეტის შესანიშნავი ლექსები გამსჭვალულია მაღალი ჰუმანისტური იდეალებით, რომლებიც ამკვიდრებენ სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე, სიხალოლის გამარჯვებას წყვდიადზე, ახლობელი და ძვირფასია თანამედროვეებისათვის.

დღეს ბედნიერი, სოციალისტური სამშობლო ჯეროვნად მიიგებს პატივს თავის დიდ შვილს, რომლის შემოქმედება არასოდეს არ დაბერდება, იგი სამარადამოდ იცოცხლებს.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი „აკაკი წერეთლის ესთეტიკური იდეალები“, „აკაკი და თანამედროვეობა“, „აკაკი და ქართული ენა“, „აკაკი და ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები“, „აკაკი და ზეპირსიტყვიერება“, რომლებიც წაიკითხეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ჯიბლაძემ, პროფესორმა ს. ჭილაიამ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიგურმა, პროფესორებმა ლ. მენაბდემ და მ. ჩიქოვანმა. ყოველ გამოსვლაში ეფერდა სიამაყე დიდი პოეტის, საქართველოს გასული საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, მშრომელი ხალხის მისწრაფებების გამომხატველის ფასდაუდებელი მემკვიდრეობისათვის.

* * *

საიუბილეო ზეიმობის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს აკაკი წერეთლის საფლავი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ყვავილებით შეამკეს აგრეთვე თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის აკადემიური თეატრის სკვერში დადგმული დიდი პოეტის ძეგლი. (საქინფორმი).

აცოცხლებენ თიხას

ქართველები ოდითგანვე იყვნენ კერამიკის ოსტატები. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. ლამაზად მოხატული ლარნაკები, დოქები თუ სახმახეები ამშვენებს თითოეული ჩვენგანის ოჯახს. თბილისის კერამიკული კომბინატი ერთ-ერთი მოწინავეა. მის მიერ გამოშვებული 14 სახეობის ნაწარმს სიატეო ხუთკუთხედი ამშვენებს.

მხატვარი მ. მაღალთაძე თბილისის კერამიკულ კომბინატში მუშაობს და ყოველდღე იმის ზრუნვაშია, როგორ გააკოსტაოს და ახალი სული შთაბეროს თიხას, რათა თვალიც გაახაროს და გულიც.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საახალწლო საჩუქრები ყმაწვილებს

ცოტა ხანიც და კარს შემოადგება 1981 წელი. ახალი წლის მოსვლა ყველაზე მეტად პატარებს უხარიათ. ამ დღეებისთვის მათ ხომ ნაძვის ხე, თოვლის პაპა, ათასნაირი ტკბილეული და ახალ-ახალი სათამაშოები ელით.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მთავარ ინჟინერს მაყვალა ლანჩავას, რომელმაც თქვა:

— ტრადიციულად ყოველ ახალ წელს საწარმოო გაერთიანება „სიხარული“ ახალ-ახალ სათამაშოებს სთავაზობს ნორჩ მომხმარებელს და ტრადიცია არც წელს დაგვირღვევია, სავაჭრო ობიექტებში უკვე სთავაზობენ მომხმარებელს 1 და 1,5 მეტრი სიმაღლის ნაძვის ხეებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ოჯახებს დამშვენებს. ბავშვებს მოსწონთ ჩვენს გაერთიანებაში დამზადებული სათამაშო „ფიფქია“, რომლის სერიული წარმოება სულ ახლახან დავიწყეთ. ყმაწვილებს კიდევ სამი სახეობის ახალ სათამაშოებს შევთავაზებთ. ესენია ეროვნულ სტილში გადაწყვეტილი „თოვლის ჰაპა“, (მხატვარი — ზ. გაბესკირია), „კატა“ და კონსტრუქტორი „თვითმფრინავი“, რომლის პირველი პარტია უკვე გავუგზავნეთ ინგლისელ ბავშვებს, ხოლო საახალწლოდ ჩვენს ბავშვებსაც გავახარებთ.

უკანასკნელ ხანს საწარმოში გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, სულ ახლახან ჩვენს მიერ გამოშვებულმა ეგრეთ წოდებულმა „რბილად დატენილი ძაღლების“ სამმა სახეობამ ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. ჩვენი კოლექტივი კვლავაც ეცდება ახალი სახეობის ხარისხიანი სათამაშოებით გააბროს ნორჩი მომხმარებელი.

სატურნირო ორბიტა

ფიგურული ციგურაობა. მოსკოვში დამთავრდა გაზეთ „მოსკოვსკაე ნოვოსტის“ პრიზებზე გამართული საერთაშორისო ასპარეზობა. ცეკვებში პირველობა მოიპოვეს მოსკოველებმა ნატალია ლინინჩუმა და გენადი კარპონოსოვმა. ვაძთა ერთეულებში უძლიერესი იყო ლენინგრადელი იგორ ბობრინი, ხოლო ქალებში ყველაზე აჯობა ლენინგრადელმა ს. ფონტუზოვამ. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საზეიმო გაცილება მოუწყვეს სახელმოხვეჭილ მოსკოველ ფიგურისტებს ი. როდნინას და ა. ბაიკოვს.

ფუალბურთი. ლიუბლიანაში გაიმართა შეხვედრა სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (მოსკოვი) გუნდსა და დუბროვნიკის „იუგს“ შორის. წყალბურთელები ერთმანეთს სუპერთასზე შეხვდნენ და გამარჯვება მოსკოველებმა მოიპოვეს — 14:11 (ძირითადი დრო — 6:6. გამარჯვებული სამ დამატებით ტაიმში გამოვლინდა).

ფეხბურთი. დონეცკის „შახტორმა“ კასაბლანკაში ამხანაგური მატჩი გამართა მოროკოს პროფკავშირთა ნაკრებთან და გაიმარჯვა — 2:1.

კალათბურთი. მოეწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდრით გათვალისწინებული მორიგი მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა-მოსკოვის „დინამო“ — 107:106, კაუნასის „ყალგირისი“-კიევის ასკ — 92:77, რიგის „ვეფი“-ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივი“ — 107:97.

დასანანი, მაგრამ კანონზომიერი...

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობა ყველა გუნდის ხვედრი როდია. და მით უფრო სასიხარულო გახლდათ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა კოლექტივმა მოიპოვა. ალბათ ამიტომაც, წარსულ კვირას თბილისის სპორტის სასახლეში ტევა არ იყო. ხელბურთელთა მატჩზე ასეთი ხალხმრავლობა 1967 წლის მერე ვერ გაგვიხსენებია. ქომაგთა რიცხვის შემცირება თბილისის „ბურევესტნიკის“ თამაშის ერთგვარმა გაფერმკთალებამ გამოიწვია. და აი, ბოლო წლებში დადგა სასიკეთო შემობრუნების ხანა. ჩვენი გუნდი უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატებში თანდათან, მაგრამ დიდი რუდუნებით, ცდილობს ძველი სახელის დაბრუნებას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. თუნდაც ის, რომ განვლილ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენმა ხელბურთელებმა ბრონჯაოს medalები მოიპოვეს, ხოლო უფრო ადრე საკავშირო თასის მფლობელები გახდნენ და, წელევანდელ საკავშირო ასპარეზობაშიც ტოლს არ უდებენ ლიდერებს, გუნდის უკეთესი მერმისის რწმენას გვინერგავს.

მადრიდის „ატლეტიკოსთან“ კვირას თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებით მერვედფინალურ მატჩში მასპინძლებს ძალიან ძნელი ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. „ბურევესტნიკს“ უთუოდ 9-10 ბურთის სხვაობით უნდა მოეგო შეხვედრა, რათა უზრუნველეყო მეოთხედფინალისკენ გზის გაკაფვა.

თავდაპირველად თამაში მასპინძლებმა სასურველი დონეებით წარმართეს და 6 ბურთის სხვაობით მოიგეს პირველი ტაიმი (12:6). ეს უკვე ძნელად გადასაჭრელი პრობლემის გადაწყვეტასთან სიახლოვეს ნიშნავდა. მაგრამ აკი ნათქვამია, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, სწორედ მეორე ტაიმში, მაშინ, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო ადრე მოპოვებული წარმატების განმტკიცება, დამატებითი ძალების გამონახვა და ფიზიკური ძალების დაძაბვა, „ბურევესტნიკმა“ მებრძოლური თვისებების მხოლოდ მინიმუმი გამოავლინა. მართალია, მოიგო მატჩი ახგარიშით 22:19, მაგრამ ეს საბოლოო წარმატებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. შეგახსენებთ, პირველი მატჩი მადრიდში ჩვენმა სპორტსმენებმა 9 ბურთის სხვაობით წაგეს (21:30) და ორი მატჩის ჯამით უპირატესობა „ატლეტიკოს“ დარჩა. ამრიგად, პირველი ტაიმის ბოლოს დასახული ამოცანის გადაჭრის თეორიული შესაძლებლობის განმტკიცებებს მიუხედავად შეხვედრის დასკვნით ნაწილში მისი პრაქტიკული ხორცშესხმა თბილისელებმა ვერ შეძლეს.

განვლილი შეხვედრის მეორე ტაიმში თბილისელებს ფიზიკური ძალები არ ეყოთ. ნიშანდობლივია, რომ მათ მადრიდშიც, სწორედ მეორე ტაიმში ამავე მიზეზით მისცეს მეტოქეებს წარმატების მოპოვების საშუალება. და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი: თბილისელები უმეტესად სტატიკური მდგომარეობიდან, ეგრეთ წოდებული პოზიციური თამაშიდან ცდილობდნენ გოლის გატანას. ეს იმ დროს, როცა ესპანელები პირველი შეტევიდან, მაღალი სისწრაფის იერიშით აღწევდნენ მიზანს. მადრიდის „ატლეტიკომ“, მართლაცდა ათლეტურად, საკმაოდ მაღალი კლასით ითამაშა და მის მიერ არჩეული მოქმედების ტაქტიკური გეგმაც სწორი აღმოჩნდა.

თასისათვის ბრძოლიდან „ბურევესტნიკის“ გამოთიშვა სხვა დეტალებმაც განაპირობა: პენალტების უზუსტო შესრულებამ თუ მოთამაშეთა ერთი ნაწილის მიერ პოტენციურ შესაძლებლობათა გამოუყენებლობამ. რას იზამ, „ბურევესტნიკის“ წარუმატებლობა დასანანი იყო, მაგრამ, როგორც მეტრის მსვლელობამ გვიჩვენა, ნონზომიერიც.

„ბურევესტნიკის“ თამაშში თაჩენილ ხარვეზებზე, ცხადია, იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ გუნდმა რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს მათი აღმოფხვრა. და ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს ხელბურთელებს წინ საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები ელით — ბრძოლა საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრებისათვის, შემდგომ ეტაპზე კი ალბათ მედლებისთვისაც.

ჯ. ენუქიძე.

Დ. Ნ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1919 წლიდან, საქართველოსა და აზერბაიჯანში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, საქართველოს ვეტერან კომუნისტთა საბჭოს წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი დანიელ ნიკოლოზის ძე ივანოვი.

იგი დაიბადა 1897 წელს ლაგოდეხში ღარიბი გლეხის ოჯახში. იყო მოჯამაგირე. მუშაობდა რკინიგზაზე მუშად და ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1919 წელს ლაგოდეხის რაიონულმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ იგი თავის წევრად მიიღო.

1921 წლის თებერვალში აქტიური მონაწილეობა მიიღო მშობლიურ ლაგოდეხში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში.

1921 წლიდან დ. ივანოვი ჯერ ლაგოდეხის რეკომის თავმჯდომარეა, შემდეგ გურჯაანის სამხრეთ მუშურ-გლეხური მილიციის უფროსის თანაშემწე, შემდგომ წლებში კი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა.

იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

რეკომლიციისათვის თავდადებული მებრძოლის, უმწიკლო კომუნისტის დ. ივანოვის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს ვეტერან კომუნისტთა საბჭო.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები უღრმეს სამძიმარს უცხადებენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს პირველ მოადგილეს ვარლამ ივანეს ძე შადურს მისი მეუღლის

ელენე სიმონის ასულ შადურის

გარდაცვალების გამო.

სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ...

ბოლო ხანს ნარკომანია გვეძალება — მოსწავლე ახალგაზრდობას ითრევს, სოფელშიც შეეჭრა, და ვინ იცის, კიდევ რამდენი ნორმალური ადამიანის ჯანმრთელობასა და სულმრთელობას უსაფრდება.

ამიტომ არის, რომ სწორედ ბოლო ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობენ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლის ფორმები და მეთოდები დღითი დღე იხვეწება, მასში აქტიურად ჩაებნენ რესპუბლიკის ადმინისტრაციული და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, ყველა, ვისაც უშუალოდ ეხება ეს საქმე.

სრული წარმატება დამოკიდებული გეგმაზომიერ, გონივრულ და სისტემატურ მოქმედებაზე, რომ შევხედოთ ნარკოტიკების მოხმარება და გავრცელება, რომ ახალგაზრდის სულიერ თუ ფიზიკურ სიკეთილს კარი ამოვუქოლოთ.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე ფართო საზოგადოებრივი აზრის შექმნა ეფექტიანი აღმოჩნდა, განგაშის ზარმა იჩინა გამოაფხიზლოს ზოგიერთი ახალგაზრდა, გამოუცდელი მოქალაქე, რომ ნარკოტიული სატყუარათი თავი არ მოიწამლოს.

განგაშის ზარმა პირველ რიგში უნდა გამოაფხიზლოს და სიფრთხილის გრძნობა გაუმახვილოს ყველა სამსახურს, რომელსაც ნარკოტიკებთან აქვს კავშირი.

ყველაზე მეტად ახლა გვმართებს კონკრეტული და საქმიანი საუბარი, განსჯა. საჭიროა კარგად მივიხედ-მოვიხედოთ, გადავჭრიკოთ სად რა ნაკლი გვაქვს, რომ დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ და ამ უბედურებას გავრცელების საშუალება მივუსპოთ.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურს (მთავარი ექიმი — რობერტ სოლოლაშვილი) ორი მოვალეობა აკისრია. პირველი და ძირითადი გახლავთ ავადმყოფებისათვის დროული და კვალიფიციური სასწრაფო დახმარების აღმოჩენა, მეორე, რომელიც 1973 წლიდან დაეკალა, ონკოლოგიურ-ინკურაბელურ (გადაუდებელ) ჭრონიკულ ავადმყოფთა მომსახურება. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეს უკანასკნელი ქალაქისა და რაიონის პოლიკლინიკებს ევალებათ, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მობილურობის გამო იგი მას დაეკისრა. გადაწყვეტილება სწორია, რადგან ნარკოტიკულ საშუალებათა კონცენტრირება და ერთ ადგილზე თავმოყრა აადვილებს კონტროლს. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მუშაობის ცუდი პირობები სადგურს საშუალებას არ აძლევს ეს დამატებითი ფუნქცია სათანადოდ შეასრ